



ინსტრუქცია განკუთვნილია საჯარო სკოლის დირექტორობის კანდიდატებისათვის, რომელთაც სურთ კონკურსში მონაწილეობა და ფლობენ მოქმედ საჯარო სკოლის დირექტორობის უფლების მოპოვების დამადასტურებელ სერტიფიკატს

1. საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით, ეწვიეთ ვებ გვერდს <https://directors.mes.gov.ge/> და გაიარეთ რეგისტრაცია, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.




შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ უკვე დარეგისტრირებული ხართ აღნიშნულ სისტემაში, გაიარეთ ავტორიზაცია და დარეგისტრირდით კონკურსზე 8-10 პუნქტების შესაბამისად.

2. შესაბამის ველებში მიუთითეთ თქვენი პირადი ნომერი და დაბადების თარიღი, დააჭირეთ ღილაკს „შემოწმება“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



- პირადი ნომერისა და დაბადების თარიღის შევსების შემდგომ ავტომატურად შეივსება სახელისა და გვარის ველები, გადაამოწმეთ მათი სისწორე და დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



მომხმარებლად რეგისტრაცია

1 პიროვნება 2 ელ-ფოსტა 3 მობილური 4 პაროლი

პირადი ნომერი


დაბადების თარიღი

სახელი

გვარი

შემდეგი

- შეავსეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი და დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



მომხმარებლად რეგისტრაცია

1 პიროვნება 2 ელ-ფოსტა 3 მობილური 4 პაროლი


ელ-ფოსტა

უკან


შემდეგი

გაითვალისწინეთ: მითითებული ელექტრონული ფოსტა იქნება თქვენი მომხმარებელი სისტემაში ყოველი შემდგომი ავტორიზაციისათვის.


5. მიუთითეთ თქვენი მობილურის ნომერი და შეტყობინების მიღების მიზნით, დააჭირეთ ღილაკს „შემოწმება“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



6. შესაბამის ველში შეიყვანეთ შეტყობინების სახით მიღებული კოდი და დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.




7. მომხმარებლად რეგისტრაციის დასრულების მიზნით, შეიყვანეთ პაროლი, გაიმეორეთ პაროლი და დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.




შენიშვნა: პაროლი უნდა შეიცავდეს მინიმუმ 8 სიმბოლოს: დიდ ასოს, პატარა ასოს, სპეციალურ სიმბოლოსა და რიცხვებს.

8. საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსზე მონაწილეობის მიღების მიზნით, დააჭირეთ ღილაკს „რეგისტრაცია“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



9. შეარჩიეთ არაუმეტეს 3 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც გსურთ თქვენი კანდიდატურის წარდგენა და დააჭირეთ დამატების ღილაკს, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.




10. დაწერეთ სამოტივაციო წერილი (არანაკლებ 100 და არაუმეტეს 3500 სიმბოლო), რის შემდეგაც გადაამოწმეთ თქვენ მიერ შეყვანილი ინფორმაციის სისწორე და დააჭირეთ ღილაკს „წარდგენა“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



გაითვალისწინეთ: რეგისტრაციის წარმატებით დასრულებისთანავე ელექტრონულ ფოსტასა და მობილურზე მიიღებთ შეტყობინებას აღნიშნულის შესახებ.

11. იმ შემთხვევაში თუ დაგავიწყდათ პაროლი, დააჭირეთ ღილაკს „დაგავიწყდა პაროლი?“, მიუთითეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი და დააჭირეთ ღილაკს „პაროლის აღდგენა“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



ავტორიზაცია

ელ-ფოსტა

პაროლი

დაგავიწყდა პაროლი?

შესვლა

რეგისტრაცია

პაროლის აღდგენა

ელ-ფოსტა

პაროლის აღდგენა

12. თქვენს ელექტრონულ ფოსტაზე გამოიგზავნება შესაბამისი ბმული, რომელზე გადასვლის შემდეგ უნდა შეიყვანოთ ახალი პაროლი, გაიმეოროთ პაროლი და დააჭირეთ ღილაკს „პაროლის აღდგენა“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

პაროლის აღდგენა

ელ-ფოსტა

პაროლი

გაიმეორეთ პაროლი

პაროლის აღდგენა

გისურვებთ წარმატებას!